საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

2022 წლის თებერვალი

საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება

(საბოლოო ანგარიში)

კვლევის ავტორები

გიგი ჩიხლაძე

თამთა კახიძე

კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი

ლევან ნატროშვილი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და შესაძლოა, არ ასახავდეს USAID-ის ანდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

I. ძირითადი მიგნებები 4

II. რეკომენდაციები 7

III. შესავალი 8

IV. საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური ფინანსების კანონმდებლობა

და მასში შეტანილი ცვლილებები 11

V. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლები 13

1. საკანონმდებლო ჩარჩო 13

1.1 სახელმწიფო დაფინანსება 13

1.1.1 სახელმწიფო დაფინანსების წყაროები 13

1.2. კერძო დაფინანსება 14

2. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლების მიმოხილვა და ანალიზი 15

2.1 სახელმწიფო დაფინანსება 17

2.2. საბანკო სესხი 19

2.3. შემოწირულებები 19

2.3.1. პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები 22

2.3.2. სავარაუდოდ, ზეწოლის მეშვეობით მობილიზებული შემოწირულებები 28

2.3.3. მესამე პირის მიერ ფულის ხარჯვა, რომელზეც შემოწირულების

მსგავსი შეზღუდვები უნდა დაწესდეს 28

2.3.4. დაუდეკლარირებელი შემოწირულებები 29

VI. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯები 30

1. საკანონმდებლო ჩარჩო 30

2. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯების მიმოხილვა 30

2.1. რეკლამის ხარჯები 32

2.2. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები 37

VII. საარჩევნო კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე

ზედამხედველობა 41

I. ძირითადი მიგნებები

2021 წლის 2 ოქტომბერს (პირველი ტური) და 30 ოქტომბერს (მეორე ტური) საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები ჩატარდა, რომელშიც 42-მა პოლიტიკურმა პარტიამ და 72 საინიციატივო ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. წინასაარჩევნო პერიოდი 2 აგვისტოს დაიწყო და არჩევნები საბოლოოდ 13 ნოემბერს შეჯამდა, რის შედეგადაც, 64 მუნიციპალიტეტში მერები და საკრებულოს წევრები იქნენ არჩეული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2021 წლის 2 აგვისტოდან 13 ნოემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების კამპანიის დაფინანსების საკითხები შეისწავლა. კვლევისთვის შერჩეულ იქნა არჩევნებში მონაწილე ის 13 საარჩევნო სუბიექტი, რომელიც ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას ან, რომელმაც წლის განმავლობაში მინიმუმ 100,000 ლარის შემოწირულება მოიზიდა. ანგარიშში გამოკვეთილი მიგნებები ძირითადად ეყრდნობა ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი ფინანსური დეკლარაციების შესწავლის შედეგებს და წინასაარჩევნოდ მიმდინარე შესაბამისი პროცესების, მათ შორის ფინანსების გამჭვირვალობისა და მასზე ზედამხედველობის კუთხით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის ანალიზს.

საარჩევნო სუბიექტების მიერ როგორც ჯამურად მიღებული შემოსავლების, ისე გაწეული ხარჯების (თითოეული დაახლოებით 27-28 მლნ ლარი იყო) 65-67% მმართველ პარტიაზე - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” მოდიოდა, რაც პარტიებს შორის ფინანსების უკიდურესად არათანაბარ გადანაწილებაზე მიუთითებს.

საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების მხოლოდ 15% მოდიოდა სახელმწიფო დაფინანსებაზე, დანარჩენი კი - კერძოზე (შემოწირულებები და საბანკო სესხი). სახელმწიფო დაფინანსების შედარებით მცირე წილი იმით იყო განპირობებული, რომ საარჩევნო პერიოდი დაახლოებით სამ თვეს გრძელდება და კერძო დაფინანსების წყაროებიდან თანხების მიღება ძირითადად სწორედ ამ დროს ხდება, მაშინ როდესაც სახელმწიფო დაფინანსებას პარტია მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თანაბარი ოდენობით იღებს. პარტიების დონორების დაახლოებით მესამედს იმაზე მეტი ჰქონდა შეწირული, ვიდრე საშუალო წლიური ნომინალური ხელფასია საქართველოში. ასეთ შემომწირველებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული შემოწირულების დაახლოებით 80% მოდიოდა, რაც მათ მსხვილ დონორებზე დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

სხვა არჩევნების მსგავსად, ამჯერადაც აქტუალური იყო პოლიტიკური კორუფციის სავარაუდო შემთხვევები და მათზე ადეკვატური რეაგირების ნაკლებობა. როგორც აღმოჩნდა, მმართველი პარტიის შემომწირველმა იურიდიულმა პირებმა და ფიზიკურ პირ შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2021 წელს (1 იანვარი - 13 ნოემბერი) ჯამში დაახლოებით 280 მლნ ლარის ღირებულების სახელმწიფო ტენდერები მოიგეს და 7 მლნ ლარის გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტები მიიღეს. ამ კომპანიებმა და მათთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა შემომწირველებმა იგივე პერიოდში დაახლოებით 3 მლნ ლარი გაიღეს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” სასარგებლოდ.

წლების განმავლობაში მმართველი პარტიის შემომწირველებს შორის ჩამოყალიბდა რამდენიმე მსხვილი ჯგუფი, რომელიც თითქმის ყოველ წელს „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს” დიდი თანხებით აფინანსებს. ყველა ასეთ ჯგუფს ის ახასიათებს, რომ მასში

შემავალი პირების დიდი ნაწილი ერთსა და იმავე დღეს ან რამდენიმე დღის შუალედში წირავს მმართველ პარტიას თანხას, რაც გარკვეულ ეჭვებს აჩენს, წინასწარ ხომ არ არის ეს კოლექტიური ქმედება ვინმეს მიერ ორგანიზებული და სხვა პირების მეშვეობით ხომ არ ხდება შეწირვა. ქართული კანონმდებლობით, მესამე პირის მეშვეობით შემოწირულების განხორციელება იკრძალება. 2021 წელს ასეთ მსხვილ ჯგუფებს შორის კვლავ მოხდნენ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" დამფუძნებელთან, ამავე პარტიის ყოფილ თავმჯდომარესა და ყოფილ პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პირები.

აგვისტოში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამცხე-ჯავახეთში მხარის რწმუნებულმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამხარეო ხელმძღვანელებმა ადგილობრივ ბიზნესმენებს სავარაუდოდ დაავალეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ ფულის შეწირვა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2-16 აგვისტოს პერიოდში მმართველ პარტიას სამცხე-ჯავახეთიდან 87-მა ფიზიკურმა და 5-მა იურიდიულმა პირმა ჯამში 714,000 ლარი შესწირა. ასეთ მოკლე დროში ერთი გეოგრაფიული არეალიდან განხორციელებული შემოწირულებების ეს ოდენობა საკმაოდ უჩვეულოა. გარდა ამისა, სექტემბერში ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტებთან საუბარში შემომწირველების ნაწილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, ზემოთ ნახსენები შეხვედრები და გარემოებები. განხორციელებული შემოწირულებების კანონიერება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომლის ინფორმაციითაც, დარღვევა არ გამოვლენილა. თუმცა ამ შემთხვევაში აშკარად გამოკვეთილია სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია.

საარჩევნო სუბიექტებმა ყველაზე დიდი თანხა რეკლამაზე, იჯარის და ოფისის და შრომის ანაზღაურების ხარჯებზე გაიღეს. რეკლამაზე საარჩევნო სუბიექტების მთლიანი ხარჯების 65% (17.5 მლნ ლარი) მოდიოდა, ოფისისა და იჯარის ხარჯზე — 13% და შრომის ანაზღაურებაზე — 5%. რეკლამაზე ყველაზე მეტი - 12.5 მლნ ლარი „ქართულმა ოცნება - დემოკრატიული საქართველომ" დახარჯა, რაც 13 საარჩევნო სუბიექტის ჯამური სარეკლამო ხარჯის უდიდეს ნაწილს (72%) წარმოადგენს. რაც შეეხება რეკლამის კატეგორიებს, ყველაზე დიდი თანხა (45%, 7.9 მლნ ლარი) გარე რეკლამაზე დაიხარჯა, შემდეგ კი სატელევიზიო რეკლამის ხარჯი იყო 3.8 მლნ ლარით. გარე რეკლამების განთავსების ხარჯების უდიდესი ნაწილი - 90% „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე" მოდიოდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორ საარჩევნო სუბიექტს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა" და „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსს" ფინანსურ დეკლარაციაში გარე რეკლამის ხარჯი არ ჰქონდა მითითებული, მაშინ როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" დამკვირვებლებმა თბილისში ამ სუბიექტების სარეკლამო ბილბორდები დააფიქსირეს.

შესწავლილმა სუბიექტებმა შრომის ანაზღაურების მიზნით 1.4 მლნ ლარი დახარჯეს, რაც მათი ჯამური ხარჯების მხოლოდ 5%-ია. თითოეულო საარჩევნო სუბიექტის მიერ შრომის ანაზღაურებაზე გაწეულ ხარჯსა და მის მთლიან ხარჯებთან მიმართებას თუ შევხედავთ, ყურადღებას მიიქცევს „პროგრესისა და თავისუფლების" და „გირჩის" ნულოვანი ხარჯები. გარდა ამისა, კითხვებს აჩენს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" და „გახარია - საქართველოსთვის" მიერ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული მცირე ხარჯები. განსაკუთრებით საყურადღებოა მმართველი პარტიის შემთხვევა, რომელმაც ყველაზე მასშტაბური და ძვირადღირებული საარჩევნო კამპანია ჩაატარა, 18 მილიონ ლარამდე

დახარჯა, მაგრამ კამპანიის განმახორციელებელ პირთა ანაზღაურებამ მისი ხარჯების მხოლოდ 1.3% შეადგინა. შედარებისთვის, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე „ქართულმა ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ" ხელფასებზე მთლიანი ხარჯების 7.2% გაიღო.

საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახური, გარკვეულ დარღვევებზე რეაგირებას ახდენდა და საზოგადოებას ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. 29 სექტემბერს სამსახურმა პარტიების ფინანსური მონიტორინგის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა, თუმცა, ამის შემდეგ უწყებას მეტი ანგარიში არ გამოუქვეყნებია, რაც მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ საზოგადოების არაინფორმირებულობის პრობლემას აჩენს.

წინა არჩევნების მსგავსად, ამ საარჩევნო ციკლშიც გამოჩნდა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური განსაკუთრებით არაეფექტიანი არის სავარაუდო პოლიტიკური კორუფციის შემთხვევებზე რეაგირების კუთხით. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობა არაერთი წელია უკვე ღიად აცხადებს, რომ პარტიების ფინანსებზე ჯეროვანი მონიტორინგის უფლებამოსილებები და კანონისმიერი ბერკეტები არ გააჩნია და ძალიან უჭირს პოლიტიკური კორუფციის შესაძლო შემთხვევების შესწავლა.

II. რეკომენდაციები

- ვინაიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელთ არსებული უფლებამოსილებები არ არის საკმარისი პოლიტიკური კორუფციის სავარაუდო შემთხვევებზე, მათ შორის შემომწირველებსა და პარტიებს შორის კორუფციული გარიგებებზე და უკანონო დაფინანსების სქემებზე ადეკვატური რეაგირებისთვის, სასურველია, შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო. ეს უწყება აღჭურვილი უნდა იყოს საგამოძიებო უფლებამოსილებებით და სხვა საკითხებთან ერთად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებსაც უნდა გაუწიოს ზედამხედველობა;

- აუცილებელია, პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივ ბიზნესმენებზე განხორციელებული ზეწოლის სავარაუდო ფაქტებზე, და შეისწავლოს ხომ არ ჰქონდა ადგილი მსგავს შემთხვევებს საქართველოს სხვა რეგიონებშიც;

- საჭიროა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანა, რათა პოლიტიკურმა პარტიამ არ დაკარგოს კუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება იმისდა მიუხედავად იგი საპარლამენტო მანდატებს გამოიყენებს თუ არა, ვინაიდან პარტიის დაფინანსება მის მიერ არჩევნებზე მიღებულ შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული და არა საპარლამენტო საქმიანობაზე;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა დაადგინოს სხვადასხვა ქალაქში განთავსებული იმ ბილბორდების დაფინანსების წყარო, რომლებზეც ოპოზიციური პარტიის ლიდერები და ჟურნალისტები იყვნენ გამოსახული და კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა დაადგინოს მიზეზები იმისა, თუ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" და „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა" რატომ არ წარმოადგინეს საკუთარ დეკლარაციებში გარე რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დეტალურად უნდა შეისწავლოს პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ და დაადგინოს, რატომ აქვს ზოგიერთ პარტიას დეკლარირებული არარეალისტურად მცირე თანხა;

- აუცილებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე ზედამხედველობის კუთხით მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ შუალედური ანგარიშები გამოაქვეყნოს არჩევნების როგორც პირველი, ისე მეორე ტურის წინ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის ინფორმაცია, რასაც შესაძლოა, მნიშვნელობა ჰქონდეს ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად. ასევე, სასურველია, არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამების შემდეგ ამ უწყებამ გამოაქვეყნოს საბოლოო ანგარიშიც;

- სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა / საარჩევნო სუბიექტებმა სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ კამპანიების მეშვეობით უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ შემოწირულებების მოზიდვაზე. როგორც წესი, ასეთ დროს პარტიები რამდენიმე მსხვილ დონორზე არ არიან დამოკიდებული და ნაკლებად არიან გახვეული დაფინანსების კორუფციულ სქემებში.

2021 წლის 2 ოქტომბერს (პირველი ტური) და 30 ოქტომბერს (მეორე ტური) საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები ჩატარდა, რომელშიც 42-მა პოლიტიკურმა პარტიამ და 72 საინიციატივო ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. არჩევნების შედეგები საბოლოოდ 13 ნოემბერს შეჯამდა და 64 მუნიციპალიტეტში მერები და საკრებულოს წევრები იქნენ არჩეული.

პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენტული გარემოს არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი საფუძველია. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ჰქონდეს არჩევანი სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფს შორის, რათა არ მოხდეს ერთპიროვნული სახელმწიფო მმართველობის ჩამოყალიბება. პოლიტიკური პარტიების სიძლიერე და პოპულარობა კი დიდ წილად მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. სწორედ ამიტომ საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უკვე წლებია სწავლობს და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს.

30 სექტემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” შუალედური ანგარიში წარმოადგინა, რომელშიც გაანალიზებული იყო 12 სექტემბრამდე საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების კუთხით არსებული მდგომარეობა.[1] ამჯერად წარმოგიდგენთ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც შეჯამებულია 13 ნოემბრამდე არსებული ვითარება.

კანონმდებლობის შესაბამისად, ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში 2 აგვისტოდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოაქვეყნა.[2] არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ფინანსურ ანგარიში დადგენილი ფორმით. გარდა ამისა, საარჩევნო სუბიექტები გარკვეული პერიოდულობით წარადგენენ შუალედურ შემაჯამებელ ანგარიშებს, ხოლო არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან 30 დღის ვადაში მათ საარჩევნო კამპანიის საბოლოო შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება აქვთ.

იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებსაც არჩევნების მეორე ტურებში მონაწილეობა არ მიუღიათ, საარჩევნო კამპანიის ფონდის საბოლოო შემაჯამებელი დეკლარაციები მეორე ტურების გამართვამდე უკვე წარდგენილი ჰქონდათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, ხოლო იმ სუბიექტებს, რომლებიც მეორე ტურებში მონაწილეობდნენ, საბოლოო ანგარიშის წარდგენის ვალდებულება მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში ჰქონდათ. ასეთმა სუბიექტებმა საარჩევნო კამპანიის საბოლოო ანგარიშები დეკემბერში წარმოადგინეს. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის ძირითადი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2 აგვისტოდან 13 ნოემბრის ჩათვლით არსებულ დროის მონაკვეთს. გამონაკლისია პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებები, რომელთა შესახებ ინფორმაციაც პარტიების ფინანსური დეკლარაციების გარეშეც არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, შემოწირულებების ანალიზი უფრო ადრეულ პერიოდებსაც შეეხება.

კვლევისთვის შევარჩიეთ არჩევნებში მონაწილე ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც ან

1 საქართველოს მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება — შუალედური ანგარიში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო”, 30.09.2021; ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/EYLOdw2

2 საქართველოს პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს N02/08/01 განკარგულება; ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QElzk7V

კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები[3] არიან ან 2021 წლის 1 იანვრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით მინიმუმ 100,000 ლარის შემოწირულება მოიზიდეს. შედეგად, შეირჩა 13 საარჩევნო სუბიექტი, რომელთა შორის 12 კვალიფიციური და ერთი არაკვალიფიციური პარტია - ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ დაარსებული „საქართველოსთვის" მოხვდნენ (სრული სია იხილეთ **ცხრილში 1**).

ცხრილი 1. კვლევისთვის შერჩეული საარჩევნო სუბიექტები

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი	**საარჩევნო სუბიექტის სახელი**	**საარჩევნო სუბიექტის წარმდგენი პოლიტიკური პარტია**
41	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	მპგ[4] „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო" (მმართველი პარტია)
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
2	„ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის"	მპგ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის"
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"	მპგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"
1	„მესამე ძალა"	მპგ „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი"
9	„ლელო"	მპგ „ლელო საქართველოსთვის"
7	„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები"	მპგ „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები"
36	„გირჩი"	მპგ „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი"
6	„ევროპელი დემოკრატები"	მპგ „ევროპელი დემოკრატები"

3 პოლიტიკური პარტია, რომელსაც წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე, სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება მოიპოვა.

4 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

10	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია”	მპგ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია”
12	„კანონი და სამართალი”	მპგ „კანონი და სამართალი”
21	„პროგრესი და თავისუფლება”	მპგ „პროგრესი და თავისუფლება”
25	„გახარია - საქართველოსთვის”	მპგ „საქართველოსთვის”

კვლევის დასაწყისში მოკლედ არის მიმოხილული ის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, რომლითაც საქართველოში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხები არის მოწესრიგებული და ის საკანონმდებლო სიახლეები, რასაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჰქონდა ადგილი. ანგარიშის შემდეგ თავებში წარმოდგენილია ზემოთ ნახსენები 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი.[5] შემოსავლების ნაწილში აქცენტი გაკეთებულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაფინანსებაზე. გარდა ამისა, წარმოდგენილია პოლიტიკური პარტიების მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან მიღებული შემოწირულებები და მათთან დაკავშირებული პოლიტიკური კორუფციის რისკების შემცველი შემთხვევები. ხარჯების ნაწილში მოცემულია სუბიექტების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემების მიმოხილვა. მომდევნო თავი ეთმობა ფინანსების გამჭვირვალობისა და მასზე ზედამხედველობის საკითხს, მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობას. ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები. საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებების გარკვეული ნაწილი შუალედური ანგარიშიდან არის აღებული.

5 საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, აღებულია მათ მიერ ვებ-შევსებული დეკლარაციებიდან. აქედან გამომდინარე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ყველა მონაცემის სიზუსტეზე პასუხს არ აგებს. გარდა ამისა, მონაცემები დაანგარიშებულია საკასო შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით. მხოლოდ შემოწირულებების ნაწილში ზოგიერთ შემთხვევაში საკასო მონაცემებს ფაქტობრივიც აქვს დამატებული, ვინაიდან არაფულადი შემოწირულება ზოგიერთ საარჩევნო სუბიექტს მხოლოდ ფაქტობრივ შემოსავლებში აქვს მითითებული.

IV. საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური ფინანსების კანონმდებლობა და მასში შეტანილი ცვლილებები

საქართველოში პოლიტიკური დაფინანსების რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და საარჩევნო კოდექსი, ასევე, კანონებით - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანებით.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს იმ პირებს, ვისზეც ვრცელდება პოლიტიკურ ფინანსებთან დაკავშირებული შემზღუდველი ნორმები. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონი იცნობს, როგორც პოლიტიკური პარტიის, ისე გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის ცნებას. კანონის თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით და საკუთარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში. საქართველოს კანონმდებლობაში სპეციალური რეგულირება არსებობს საარჩევნო კამპანიისთვის / წინასაარჩევნო პერიოდისთვის, რომელიც იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე.

2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, 2021 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” ორგანულ კანონში შეიტანა ცვლილებები, რომლებიც 2022 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდება. ცვლილებების მიხედვით, პოლიტიკური პარტია კარგავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლებას, თუ ამ პარტიის წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარს ან ნახევარზე მეტს ვადამდე შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

გარდა ამისა, პარტია შესაბამისი მომდევნო 6 კალენდარული თვის საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ მისი წარდგენით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი პარლამენტის შესაბამისი წინა მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომების ნახევარზე მეტს.[6]

მსგავსი შინაარსის ცვლილება საქართველოს პარლამენტში ჯერ კიდევ 2020 წლის 16 დეკემბერს დარეგისტრირდა მმართველი პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” დეპუტატების მიერ.[7] ეს ცვლილებები პარლამენტმა პირველი მოსმენით 2020 წელს მიიღო, მაგრამ მოგვიანებით პარლამენტმა კანონპროექტი შესაფასებლად ვენეციის კომისიას და ეუთო/ოდირს გადაუგზავნა.

---

6 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის მე-2 მუხლი, 22.06.2021; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EVhoP9

7 საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2PkPEOJ

ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა საერთო დასკვნა 2021 წლის 20 მარტს გამოაქვეყნეს, სადაც ცვლილებების მიღება ცალსახად და არაორაზროვნად არის გაკრიტიკებული.[8] მიუხედავად ამისა, პარლამენტმა ცვლილებები მაინც მიიღო და მასში მხოლოდ მცირე, უმნიშვნელო შესწორებები შეიტანა, ასევე, გადაავადა მისი ამოქმედების წესი. ეუთო/ ოდირის დასკვნას წინ უსწრებდა არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კრიტიკული შეფასებაც.[9]

უნდა ითქვას ისიც, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების” შესახებ კანონში შეტანილი აღნიშნული ცვლილებებით, „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ”, რომელმაც საპარლამენტო მანდატზე უარი თქვა, სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება დაკარგა.

რეკომენდაცია
• პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა დაკარგოს კუთვნილი სახელმწიფო დაფინანსება იმისდა მიუხედავად იგი საპარლამენტო მანდატებს გამოიყენებს თუ არა, ვინაიდან პარტიის დაფინანსება მის მიერ არჩევნებზე მიღებულ შედეგებზე უნდა იყოს დამოკიდებული და არა საპარლამენტო საქმიანობაზე.

8 ON AMENDMENTS TO THE ELECTION CODE, THE LAW ON POLITICAL ASSOCIATIONS OF CITIZENS AND THE RULES OF PROCEDURE OF THE PARLIAMENT OF GEORGIA, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) and OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR), JOINT OPINION, CDL-AD(2021)008, Strasbourg, 20 March 2021; available: https://cutt.ly/MxOaySK

9 „საარჩევნო და პოლიტიკური პარტიების კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები დემოკრატიულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2020 წლის 28 დეკემბერი; ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/bElTvzO

1. საკანონმდებლო ჩარჩო

მოქმედი კანონმდებლობით, საარჩევნო სუბიექტებს შემოსავლების მიღება შემდეგი წყაროებიდან აქვთ ნებადართული: 1. სახელმწიფო დაფინანსება; 2. საწევრო შენატანები; 3. შემოწირულებები; 4. სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე, საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი; 5. საბანკო სესხები.

1.1 სახელმწიფო დაფინანსება

1.1.1 სახელმწიფო დაფინანსების წყაროები

როგორც აღინიშნა, პარტიის დაფინანსების ერთ-ერთი წყარო შეიძლება სახელმწიფოსგან მიღებული სახსრები იყოს. სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა და სუბიექტები განისაზღვრება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით. კანონი ადგენს, რომ სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების შემდეგი გზები არსებობს:

- **თანხის პირდაპირ პარტიებისთვის გადაცემა**

ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიისთვის გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ის პარტია, რომელიც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო. დაფინანსება განისაზღვრება პარლამენტის ბოლო არჩევნებში პირველი 50,000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარის, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის – 5 ლარის ოდენობით.[10]

- **განსხვავებული სქესის წარმომადგენელთათვის გათვალისწინებული დანამატი**

პარტია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, დამატებით კიდევ მიიღებს სახელმწიფო დაფინანსების 30%-ს, თუ ამ პარტიის ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იყო.

- **უფასო სარეკლამო დრო**

გარდა პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებისა კანონმდებლობა განსაზღვრავს პოლიტიკური სუბიექტის არაპირდაპირ დაფინანსებასაც. საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი ვალდებულია საერთო არჩევნებისას საარჩევნო კამპანიის დროს საკუთარ ეთერში ყოველ 3 საათში არანაკლებ 7.5 წუთი გამოყოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების რეკლამისთვის, რომელიც მათ თანაბრად და არადისკრიმინირებულად გაუნაწილდებათ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი იმავე მიზნით ყოველ საათში 5 წუთს გამოყოფს.

10 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

აკრძალულია სახელმწიფოსგან დაფინანსების, ან სხვა სახის სიკეთის მიღება, რომელიც არ თავსდება ზემოთ აღწერილ კატეგორიებში.

1.2. კერძო დაფინანსება

სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად, პოლიტიკურ პარტიებს უფლება აქვთ, ფინანსური სახსრები მოიზიდონ კერძო პირებისგან, კანონით დადგენილი კერძო დაფინანსების ყველაზე მსხვილი კატეგორიებია:

- **საწევრო შენატანები**

საწევრო შენატანების წლიური ოდენობის ზედა ზღვარი 1,200 ლარია.

- **შემოწირულებები**

შემოწირულება შეიძლება იყოს:

  - პარტიის ანგარიშზე ფიზიკური, ან იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული ფულადი თანხა;

  - პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/ შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (მათ შორის, შეღავათიანი კრედიტი) და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი).

შემოწირულებების განხორციელებისას კანონი ადგენს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ შეზღუდვებს:

  - შემომწირველი ფიზიკური პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;

  - შემომწირველი იურიდიული პირი უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი პარტნიორები და საბოლოო ბენეფიციარები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ;

  - შემომწირველი არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით;

  - პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60,000 ლარს, ხოლო თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 120,000 ლარს;

ასევე, აკრძალულია შემოწირულების მიღება:

  - სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან;

  - სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი

საზოგადოებისაგან;

- არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან;
- ანონიმური ფორმით.

- **საბანკო კრედიტი:**

პარტიას, ასევე, უფლება აქვს, აიღოს კრედიტი მხოლოდ საქართველოს კომერციული ბანკისაგან საერთო რაოდენობით არაუმეტეს ერთი მილიონი ლარისა კალენდარული წლის განმავლობაში.

2. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლების მიმოხილვა და ანალიზი

სახელმწიფო აუდიტისთვის წარდგენილი ფინანსური დეკლარაციების თანახმად, საანგარიშო პერიოდში არჩევნებში რეგისტრირებულმა 42-მა საარჩევნო სუბიექტმა (პოლიტიკურმა პარტიამ) ჯამურად **28,100,914** ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო. ამ შემოსავლის **99%** იმ 13 პარტიაზე მოდიოდა, რომელიც ამ ანგარიშშია შესწავლილი.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია იმ 13 საარჩევნო სუბიექტის ფინანსური დეკლარაციები, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ ან 2021 წლის 1 იანვრიდან მათ მიერ მიღებული შემოწირულებების ოდენობა 100,000 ლარს აღემატებოდა.

შესწავლილმა სუბიექტებმა 2 აგვისტოდან 13 ნოემბრის ჩათვლით მთლიანობაში **27,803,704** ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღეს,[11] ამ თანხის დაახლოებით **65%** - **17,981,619** ლარი, მმართველ პარტიაზე - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მოდიოდა. 3,037,064 ლარით მეორე ადგილზე იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”, მესამეზე კი — „ლელო“ 2,476,627 ლარით (სრული სია იხილეთ **დიაგრამა 1**-ზე).

11 ჯამური შემოსავალი დათვლილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციებში ფულადი საკასო შემოსავლისა და არაფულადი ფაქტობრივი შემოსავლის ჯამით.

დიაგრამა 1. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული მთლიანი შემოსავალი (2 აგვისტო - 13 ნოემბერი) ₾



საანგარიშო პერიოდში სუბიექტების მიერ ჯამურად მიღებული შემოსავლების მხოლოდ **15%** (4,118,879 ლარი) მოდიოდა სახელმწიფო დაფინანსებაზე, **85%** (23,685,025 ლარი) კი - კერძოზე (შემოწირულებები, საბანკო სესხი) (იხილეთ **დიაგრამა 2**). სახელმწიფო დაფინანსების შედარებით მცირე წილი იმით იყო განპირობებული, რომ საარჩევნო პერიოდი დაახლოებით სამ თვეს გრძელდება და კერძო დაფინანსების წყაროებიდან თანხების მიღება ძირითადად სწორედ ამ დროს ხდება, მაშინ როდესაც სახელმწიფო დაფინანსებას პარტია მთელი წლის განმავლობაში ყოველთვიურად, თანაბარი ოდენობით იღებს.

დიაგრამა 2. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ დეკლარირებული ჯამური შემოსავლები მათი წყაროების მიხედვით, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾, %-ული წილი



2.1 სახელმწიფო დაფინანსება

საარჩევნო სუბიექტების მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული სახელმწიფო დაფინანსების კუთხით 1,285,005 ლარით პირველ ადგილზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" იყო, მეორეზე – „გირჩი" 706,883 ლარით, ხოლო მესამეზე 549,909 ლარით – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (იხილეთ **დიაგრამა 3**).

დიაგრამა 3. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული სახელმწიფო დაფინანსება, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾



„გირჩის“ და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების“ მიერ მიღებული თანხის სხვა პარტიებთან შედარებით დიდი ოდენობა განპირობებული იმით იყო, რომ მათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში უარი ჰქონდათ ნათქვამი სახელმწიფო დაფინანსების მიღებაზე, ხოლო 22 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით,[12] 1 აგვისტოდან მათ მიეცათ საშუალება ერთიანად ჩარიცხოდათ წინა თვეების მისაღები თანხაც. პარტია „საქართველოსთვის“

12 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის მე-2 მუხლი, 22.06.2021; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EVhoP9

პირველად იღებდა არჩევნებში მონაწილეობას, შესაბამისად იგი საბიუჯეტო დაფინანსებას არ იღებს.

2.2. საბანკო სესხი

საბანკო სესხით საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ორმა სუბიექტმა ისარგებლა. პარტიამ „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" 8 სექტემბერს „ლიბერთი ბანკისგან" 12 თვის ვადით 500,000 ლარი ისესხა წლიური 14%-იანი განაკვეთით, ხოლო „ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომ" 12 ნოემბერს „ბანკი ქართუსგან" 1,000,000 ლარი ისესხა 1,5 თვის ვადით 13.75%-იანი განაკვეთით.

2.3. შემოწირულებები

პოლიტიკური პარტიის მიერ მოზიდული შემოწირულებები საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მძიმე სოციალური ფონის გამო, რომელსაც პანდემიის ფაქტორიც დაემატა, პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ დიდი რაოდენობის შემოწირულების გაღების ფაქტები ყოველთვის აჩენს ლეგიტიმურ კითხვებს საზოგადოებაში იმის შესახებ, თუ ვინ დგას რეალურად ამ ფინანსური ტრანზაქციის უკან და საქმე ხომ არ გვაქვს კორუფციულ გარიგებასთან.

კორუფციული და უკანონო სქემების გაშიფვრა საკმაოდ რთულია, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ცდილობს, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიაწოდოს პოლიტიკური პარტიების შემომწირველებისა და მათი ბიზნეს ინტერესების, ასევე, მათი კომპანიების მიერ მიღებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების შესახებ.

ამ კავშირების უფრო ადვილად დადგენის მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" შექმნა სპეციალური ვებგვერდი www.politicaldonations.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია 2011 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული ყველა შემოწირულების შესახებ. ამასთანავე, ვებგვერდზე შესაძლებელია შემომწირველების ბიზნესინტერესების ნახვაც.

შესწავლილი 13 საარჩევნო სუბიექტიდან 2021 წლის 2 აგვისტო - 13 ნოემბრის პერიოდში შემოწირულება 11-მა მათგანმა მიიღო ჯამში **22,128,337** ლარის ოდენობით, საიდანაც **15,694,369** ლარი (ყველა შემოწირულების **71%**) მმართველ პარტიაზე „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველო" მოდიოდა, 2,437,463 ლარით მეორე ადგილზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ხოლო მესამეზე - 2,271,737 ლარით „ლელო" იყო (იხილეთ **დიაგრამა 4**).

დიაგრამა 4. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული შემოწირულებები, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾



შემოწირულებების შესახებ ინფორმაციას პოლიტიკური პარტიები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მათი მიღებიდან 5 დღის ვადაში აწვდიან, რომელსაც აუდიტის სამსახური საკუთარ ვებგვერდზე ათავსებს. აქედან გამომდინარე, პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებების შესახებ ინფორმაცია მათი ფინანსური დეკლარაციების ნახვის გარეშეც არის შესაძლებელი, შესაბამისად, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ამ საკითხის შესწავლისას გავცდით კვლევის ძირითად საანგარიშო პერიოდს (2 აგვისტო - 13 ნოემბერი) და დამატებით გავაანალიზეთ 2021 წლის 1 იანვრიდან 13 ნოემბრამდე 13 პარტიის მიერ მიღებული შემოწირულებები.

როგორც გაირკვა, 2021 წლის 1 იანვრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით შესწავლილმა 13-მა პარტიამ ჯამში **25,983,377** ლარის ოდენობის შემოწირულება მიიღო, რომლის **73%** - **18,881,769** ლარი „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე" მოდიოდა, მეორე იყო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" 2,786,617 ლარით, ხოლო მესამე - „ლელო საქართველოსთვის" 2,403,296 ლარით (იხილეთ **დიაგრამა 5**). პარტიების დონორების დაახლოებით მესამედს იმაზე მეტი ჰქონდა შეწირული, ვიდრე საშუალო წლიური ნომინალური ხელფასია საქართველოში (2021 წლის III კვარტლის მონაცემებით, დაახლოებით 16,422 ლარი[13]). ასეთ შემომწირველებზე ყველა პარტიის მიერ მიღებული შემოწირულების დაახლოებით **80%** მოდიოდა, რაც მათ მსხვილ დონორებზე დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 5. 13 საარჩევნო სუბიექტის წარმდგენი პარტიების მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში მიღებული შემოწირულებები, (1 იანვარი - 13 ნოემბერი), ₾*



*დიაგრამა 4-ისგან განსხვავებით, დიაგრამა 5-ის *მონაცემები აღებულია monitoring.sao.ge-ს საძიებო სისტემიდან, შესაბამისად, გარკვეული მონაცემი შეიძლება განსხვავდებოდეს სუბიექტების მიერ წარდგენილ დეკლარაციებში მითითებული მონაცემებისგან.*

13 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

რეკომენდაცია
• სასურველია, პოლიტიკურმა პარტიებმა / საარჩევნო სუბიექტებმა სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ კამპანიების მეშვეობით უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ შემოწირულებების მოზიდვაზე. როგორც წესი, ასეთ დროს პარტიები რამდენიმე მსხვილ დონორზე არ არიან დამოკიდებული და ნაკლებად არიან გახვეული დაფინანსების კორუფციულ სქემებში.

2.3.1. პოლიტიკური კორუფციის მაღალი რისკის შემცველი შემოწირულებები

პოლიტიკური კორუფციის განსაკუთრებით მაღალი რისკები, ბუნებრივია, მმართველი პარტიის მიერ მიღებულ შემოწირულებებს უფრო ახლავს თან, ვინაიდან სწორედ ხელისუფლებას აქვს იმის ბერკეტი, რომ გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ გაურიგდეს პოტენციურ შემომწირველს. სწორედ ამიტომ კვლევისას განსაკუთრებული აქცენტი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შემომწირველებზე გაკეთდა. კერძოდ, შევხედეთ, თუ რამდენი მათგანი იყო იმ ბიზნეს კომპანიებთან დაკავშირებული, რომლებსაც მიმდინარე წელს გარკვეული სარგებელი აქვთ მიღებული სახელმწიფო შესყიდვებიდან.

როგორც აღმოჩნდა, მმართველი პარტიის შემომწირველმა იურიდიულმა პირებმა და ფიზიკურ პირ შემომწირველებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა 2021 წელს (1 იანვარი - 13 ნოემბერი) ჯამში დაახლოებით **280 მლნ ლარის** ღირებულების სახელმწიფო ტენდერები მოიგეს და **7 მლნ ლარის** გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტები მიიღეს. ამ კომპანიებმა და მათთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულმა შემომწირველებმა იგივე პერიოდში **3 მლნ ლარამდე გაიღეს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სასარგებლოდ.**

ცხრილში 2 იმ კომპანიების ათეულია ჩამოთვლილი, რომლებმაც ყველაზე მეტი ღირებულების ტენდერები მოიგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **შპს „არალი",** რომელმაც 2021 წელს **62 მლნ ლარის** ტენდერები მოიგო, ხოლო მისმა მფლობელმა, **დემეტრე თათეშვილმა** მმართველი პარტიის ყულაბაში 50,000 ლარი შეიტანა. თათეშვილის კომპანიების მიერ სახელმწიფო შესყიდვების მსხვილი კონტრაქტების მიღებასა და ამ პროცესში კორუფციული რისკების არსებობის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ადრეც საუბრობდა.[14]

ყურადღებას ასევე იქცევს **შპს „ანაგი"**, რომელიც არაერთი მსხვილი სახელმწიფო ტენდერის გამარჯვებულია. ამ კომპანიამ 2021 წელს ჯამურად **22 მლნ ლარზე** მეტი ღირებულების ტენდერები მოიგო. „ანაგთან" დაკავშირებულმა პირმა, **დავით ანდღულაძემ** და მისმა ბიზნესპარტნიორმა **გიორგი ჩიტაშვილმა** მმართველ პარტიას ჯამში 110,000 ლარი შესწირეს.

მსხვილი სახელმწიფო კონტრაქტორები არიან **შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" და შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №2"**, რომლებმაც წლის განმავლობაში ჯამში **26 მლნ ლარის** ტენდერები მოიგეს. ამ კომპანიების მფლობელმა, **ნუგზარ აბალაკმა**

---

14 „აბასთუმანში ბიძინა ივანიშვილის დაგეგმილ პროექტებში ჩართული კომპანია „არალი" მილიონიან ტენდერებს უკონკურენტოდ იგებს", „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 22.05.2021: https://bit.ly/39GjSlY

და მისმა ბიზნეს პარტნიორმა, **ავთანდილ კაჭკაჭიშვილმა** „ქართულ ოცნება დემოკრატიულ საქართველოს" ჯამში 45,000 ლარი შესწირეს.

ყოფილ პრემიერ-მინისტრთან და მმართველი პარტიის დამფუძნებელთან, **ბიძინა ივანიშვილთან** დაკავშირებული **შპს „ზიმო"**, ასევე, მოხვდა მსხვილ სახელმწიფო კონტრაქტორებს შორის. ამ კომპანიამ წლის განმავლობაში დაახლოებით **13 მლნ ლარის** სახელმწიფო ტენდერი მოიგო, ხოლო ივანიშვილთან და ამ ბიზნეს ჯგუფთან სხვადასხვა გზით დაკავშირებულმა პირებმა „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს" წლის განმავლობაში ჯამში ნახევარ მილიონ ლარზე მეტი შესწირეს. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფში გაერთიანებული პირები თითქმის ყოველ წელს სოლიდურ თანხებს სწირავენ მმართველ პარტიას და ეს, როგორც წესი, ძალიან მოკლე დროში 1-2 დღის შუალედით ხდება ხოლმე.

კიდევ ერთი კომპანია, რომელიც 10 ყველაზე მსხვილ სახელმწიფო კონტრაქტორს შორის მოხვდა, არის **შპს „იბოლია"**. რომელმაც „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს" 20,000 ლარი შესწირა. ამ კომპანიის, მისი მფლობელის, პარლამენტის ყოფილი წევრის, **იოსებ მაკრახიძის** და მისი ოჯახის წევრების კომპანიების მიერ საეჭვო გარემოებებში ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების მიღებაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს", ასევე არაერთხელ უსაუბრია.[15]

15 „გორის მაჟორიტარ კანდიდატად დასახელების შემდეგ იოსებ მაკრახიძესთან დაკავშირებულმა კომპანიებმა ტენდერებიდან 91.8 მილიონ ლარზე მეტი მიიღეს"; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 02.09.2019: https://bit.ly/3zM0q1Q

ცხრილი 2. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” შემომწირველი ან შემომწირველებთან დაკავშირებული 10 კომპანია, რომელმაც ყველაზე მეტი ღირებულების სახელმწიფო ტენდერები მოიგო, 2021 წლის 1 იანვარი - 13 ნოემბერი

#	სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტორი კომპანია	2021 წლის 1 იანვრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით მოგებული სახელმწიფო ტენდერების საერთო ღირებულება, მლნ ₾	კომპანიასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შემომწირველი	შემოწირულების ოდენობა 2021 წლის 1 იანვრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით, ₾	2011 წლიდან განხორციელებული პოლიტიკური შემოწირულებების ჯამი, ₾
1	შპს „არალი"	62	დემეტრე თათეშვილი	50,000	50,000
2	შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" და შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №2"	26 (ჯამურად)	ნუგზარ აბალაკი	25,000	85,000
			ავთანდილ კაჭკაჭაშვილი	20,000	20,000
3	შპს „ბონდი-2009"	25	ოთარ ფუტკარაძე	60,000	60,000
			ნუკრი დოლიძე	60,000	70,000
4	შპს „ანაგი"	22	დავით ანდღულაძე	50,000	50,000
			გიორგი ჩიტაშვილი	60,000	68,000
5	შპს „შარა-გზამშენი პირველი"	20	შპს „შარა-გზამშენი პირველი"	5,000	25,000
6	შპს „ბალავარი"	18	დავით ბაინდურაშვილი	40,000	160,000

7	შპს „ზიმო"	13	ალექსანდრე ივანიშვილი	58,467	320,767
			გია უროტაძე	60,000	92,000
			ლევან მარშანია	40,000	49,996
			ალექსანდრე მაღრაძე	60,000	65,000
			გიორგი მიქაბერიძე	20,000	107,000
			კახა კობიაშვილი	50,000	230,000
			დავით გალუაშვილი	40,000	265,429
			ბექა კვარაცხელია	40,000	219,600
			გოჩა ჩიკვილაძე	40,000	241,630
			გივი ლებანიძე	40,000	211,800
			ზურაბ გოგუა	45,000	233,000
			ნატო ხაინდრავა	50,000	362,600
8	შპს „იბოლია"	13	შპს „იბოლია"	20,000	20,000
9	შ.პ.ს. „ვი-აი-პი +" და შპს „ლ.და.კ"	13 (ჯამურად)	მამუკა ხელაია	10,000	45,000
			ლევან ლურსმანაშვილი	7,000	39,000
			დავით კაპანაძე	30,000	77,000
10	შპს „პროდიუს ინვესტმენტ"	11	ამირან წკრიალაშვილი	10,000	10,000

რაც შეეხება მმართველი პარტიის შემომწირველების ან მათი კომპანიების მიერ მიღებულ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტებს, ხუთი ყველაზე მსხვილი ასეთი კომპანია მოცემულია **ცხრილში 3**. ამ ხუთეულიდან აღსანიშნავია **სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო”**, რომელმაც წლის განმავლობაში 3.2 მლნ ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის კონტრაქტი მიიღო, ხოლო მისმა დირექტორმა, **პაპუნა ბახტაძემ** მმართველ პარტიას 55,000 ლარი შესწირა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხის უდიდესი ნაწილი ერთ, 2.5 მლნ ღირებულების კონტრაქტზე მოდიოდა, რომელიც კომპანიას სსიპ-მა „ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ” „კორონავირუსის” ეპიდემიის მართვის ღონისძიებების ფარგლებში გაუფორმა.

კიდევ ერთი კომპანია, რომელმაც წლის განმავლობაში დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტები მიიღო **შპს „ნიუ ტიფლის”** იყო. ამ კომპანიის მფლობელები ამავე დროს დაკავშირებული არიან შპს „ლილო-მოლთან” — მსხვილ ბიზნეს ჯგუფთან, რომლის პარტნიორები წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პოლიტიკური დონორები არიან და ისინიც, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პირების მსგავსად, მოკლე დროის შუალედში სწირავენ ხოლმე ფულს მმართველ პარტიას.

ცხრილი 3. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შემომწირველი ან შემომწირველებთან დაკავშირებული 5 კომპანია, რომელმაც ყველა მეტი ღირებულების გამარტივებული შესყიდვების კონტრაქტები მიიღო, 2021 წლის 1 იანვარი - 13 ნოემბერი

#	სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტორი კომპანია	**2021 წლის 1 იანვრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით მიღებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების საერთო ღირებულება, მლნ ₾**	**კომპანიასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შემომწირველი**	**შემოწირულების ოდენობა 2021 წლის 1 იანვრიდან 13 ნოემბრის ჩათვლით, ₾**	**2011 წლიდან განხორციელებული პოლიტიკური შემოწირულებების ჯამი, ₾**
1	სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო"	4	პაპუნა ბახტაძე	55,000	55,000

2	შპს „ნიუ ტიფლის"	0.7	სიმონ გეგელაშვილი	40,000	200,000
			ვაჟა უსანეთაშვილი	60,000	316,010
			დავით ალიბეგაშვილი	20,000	140,000
			ირაკლი პეტრიაშვილი	30,000	200,000
			გიორგი კვარაცხელია	20,000	55,000
			ნიკოლოზ უსანეთაშვილი	25,000	65,000
			ბაჩო კაპანაძე	25,000	65,000
			გოჩა ჩოკოშვილი	30,000	165,000
			დავითი გაგუა	60,000	140,000
			ილია შონია	60,000	304,000
			თენგიზ გავაშელი	60,000	288,000
			დავით კაპანაძე	60,000	200,000
			გია ანდღულაძე	60,000	307,000
			ლევან გაგუა	60,000	160,000
			გიორგი გაგუა	60,000	297,000
3	შპს „ბი ემ სი გორგია"	0.6	ლაშა ახალაია	5,000	5,000
4	შპს „ახალი სამშენებლო"	0.3	მამუკა მასურაშვილი	5,000	5,000
5	შპს „რგანი"	0.2	შპს „რგანი"	1,000	1,000

2.3.2. სავარაუდოდ, ზეწოლის მეშვეობით მობილიზებული შემოწირულებები

22 აგვისტოს ტელეკომპანია „მთავარ არხზე“ გავიდა სიუჟეტი,[16] რომლის თანახმადაც, ტელეკომპანიას წყაროომ მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამცხე-ჯავახეთში მხარის რწმუნებულმა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამხარეო ხელმძღვანელებმა ადგილობრივ ბიზნესმენებს დაავალეს მმართველი პარტიის სასარგებლოდ ფინანსური შემოწირულებების განხორციელება.

სიუჟეტის მიხედვით, ბიზნესმენები სუს-ის მეშვეობით გუბერნიის შენობაში დაიბარეს, სადაც მათ ზემოაღნიშნულმა სამმა მაღალჩინოსანმა საწარმოს წლიური ბრუნვიდან გარკვეული ნაწილის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლოდ შეწირვა დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესისთვის საფრთხის შექმნით დაემუქრა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდის მიხედვით, სადაც პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებებია განთავსებული, 2-16 აგვისტოს პერიოდში მმართველ პარტიას სამცხე-ჯავახეთიდან 87-მა ფიზიკურმა[17] და 5-მა იურიდიულმა[18] პირმა ჯამში 714,000 ლარი შესწირა. ასეთ მოკლე დროში, ერთი გეოგრაფიული არეალიდან განხორციელებული შემოწირულებების ეს ოდენობა საკმაოდ უჩვეულოა და შესაძლოა წარმოადგენდეს „მთავარი არხის“ სიუჟეტში მოთხრობილი ისტორიის არაპირდაპირ მტკიცებულებას. გარდა ამისა, 4 სექტემბერს ტელეკომპანია „პირველის” ეთერშიც გავიდა სიუჟეტი[19], რომლის მიხედვითაც, ჟურნალისტებთან საუბარში შემომწირველების ნაწილმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, ზემოთ ნახსენები შეხვედრები და გარემოებები.

განხორციელებული შემოწირულებების კანონიერება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლა სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომლის ინფორმაციითაც, დარღვევა არ გამოვლენილა. თუმცა ამ შემთხვევაში აშკარად გამოკვეთილია სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. მიუხედავად ამისა, ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია.

რეკომენდაცია
• აუცილებელია, პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივ ბიზნესმენებზე განხორციელებული ზეწოლის სავარაუდო ფაქტზე.

2.3.3. მესამე პირის მიერ ფულის ხარჯვა, რომელზეც შემოწირულების მსგავსი შეზღუდვები უნდა დაწესდეს

სექტემბერში საქართველოს რამდენიმე ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, თელავსა და გორში ოპოზიციური პარტიების ლიდერების და კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის მქონე ორი ტელევიზიის წარმომადგენლის საწინააღმდეგო ბილბორდები განთავსდა.[20] ბილბორდების შინაარსი წინასაარჩევნო აგიტაციის შემცველი იყო, რომელიც მიმართული

16 „დარეკეტებული ბიზნესი | “ოცნებამ” ბოლო ორ კვირაში 700 000 ლარზე მეტი შემოწირულობა მიიღო“, mtavari.tv, 22.08.2021, https://mtavari.tv/news/54172-dareketebuli-biznesi-otsnebam-bolo-or-kvirashi

17 იხ. შემომწირველ ფიზიკურ პირთა სია, https://bit.ly/3lPtMaA

18 იხ. შემომწირველ იურიდიულ პირთა სია, https://bit.ly/3AxkWEz

19 გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათი”, ტელეკომპანია „პირველი”, 04.09.2021: https://www.youtube.com/watch?v=Z9IHmPShOxs

20 „„სისხლიან” ბანერებზე გახარიაც დაამატეს“, netgazeti.ge, 18.09.2021, https://netgazeti.ge/news/563983/

იყო კონკრეტული პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ და ამ მიზნის მისაღწევად დაიხარჯა თანხა. კანონმდებლობის მიხედვით, პარტიის მხარდაჭერისგან თავის შეკავების მიზნით გაწეულ ფულად ხარჯზე ვრცელდება შემოწირულებებისთვის კანონით დაწესებული რეგულაციები, მიუხედავად იმისა, იდენტიფიცირებადია თუ არა ასეთი სახსრების მიმღები პარტია.[21] შესაბამისად, ასეთი შემთხვევაში ის პირი, ვინც დაუკვეთა რეკლამა აუცილებელია, აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფიზიკური პირის შემთხვევაში, ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- იურიდიული პირის შემთხვევაში, ის უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული და მისი პარტნიორები მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში რეგისტრირებული ის იურიდიული პირები უნდა იყვნენ, რომელთა საბოლოო ბენეფიციარებიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები არიან;
- არ უნდა იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ა(ა)იპ) ან რელიგიური ორგანიზაცია;
- არ შეიძლება იყოს იურიდიული პირი, რომლის წინა კალენდარული წლის ან საარჩევნო წლის კენჭისყრის დღემდე ფაქტობრივი შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უწყებას ამ საკითხის შესწავლა დაწყებული აქვს, თუმცა ჯერ პროცესი არ დაუსრულებია.

რეკომენდაცია
• სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა დაადგინოს ამ ბილბორდების დაფინანსების წყარო და კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.

2.3.4. დაუდეკლარირებელი შემოწირულებები

4 აგვისტოს საარჩევნო სუბიექტის „გირჩის“ ლიდერმა, ვახტანგ მეგრელიშვილმა განაცხადა, რომ პარტია საუბნო საარჩევნო კომისიებში მათთვის განკუთვნილ ადგილებს აუქციონის წესით ყიდის.[22] ასეთი ქმედებიდან პარტიის მიერ მიღებული თანხა შემოწირულებად უნდა ჩაითვალოს, შესაბამისად, ქართული კანონმდებლობით, იგი ექვემდებარება დეკლარირებას. მიუხედავად ამისა, „გირჩის” მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარდგენილი დეკლარაციებიდან ირკვევა, რომ პარტიას საბიუჯეტო შემოსავლის გარდა სხვა შემოსავალი არ ჰქონია. აგრეთვე, წლის განმავლობაში პარტიას არ უფიქსირდება მიღებული შემოწირულება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნულ ფაქტი შეისწავლა და პარტია კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დააჯარიმა.

---

21 „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

22 „„გირჩი” საარჩევნო კომისიებში ადგილებს ყიდის“, tvpirveli.ge, 04.08.2021: https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/7809-girchi-saarchevno-komisiebshi-adgilebs-kidis

VI. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯები

1. საკანონმდებლო ჩარჩო

კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს ავალდებულებს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გაწეული ხარჯების შესახებაც დეტალური ანგარიში მიაწოდოს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია გაასაჯაროოს პარტიისგან მიღებული ინფორმაცია. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების" შესახებ კანონით რეგლამენტირებულია ხარჯების მაქსიმალური ოდენობა: პარტიის/საარჩევნო სუბიექტის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ს. აღნიშნულ თანხაში, ასევე, შედის პარტიის/ საარჩევნო სუბიექტის და მათ სასარგებლოდ სხვა პირის მიერ გაწეული ხარჯები. ხარჯებში მოიაზრება არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე და სხვა ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები.

გარდა პარტიის საერთო წლიური ხარჯების ლიმიტირებისა, კანონი, ასევე, აწესებს კონკრეტული ტიპის ხარჯებზე შეზღუდვებსაც: პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში ნებადართული მაქსიმალური ხარჯის (წინა წლის მშპ-ის 0,1%) 10%-ს. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის სპეციალურ შეზღუდვას საარჩევნო კამპანიის დროს გაწეულ ხარჯებზე, მთავარია, საარჩევნო სუბიექტის ხარჯვა თავსდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვების ფარგლებში.

2. საარჩევნო სუბიექტების მიერ გაწეული ხარჯების მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტისთვის წარდგენილი ფინანსური დეკლარაციების თანახმად, საანგარიშო პერიოდში არჩევნებში რეგისტრირებულმა 42-მა სუბიექტმა (პოლიტიკურმა პარტიამ) ჯამურად **27,216,636** ლარის ოდენობის ხარჯი გასწია. ხარჯის **99%** მოდიოდა იმ 13 პარტიაზე, რომელიც წინამდებარე ანგარიშშია შესწავლილი.

აღნიშნულმა 13-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა 2 აგვისტოდან 13 ნოემბრის ჩათვლის სულ **26,927,444** ლარის ოდენობის ხარჯი გასწია, რომლის **67% – 17,933,274 ლარი** „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე" მოდიოდა, 2,991,616 ლარის ხარჯით მეორე ადგილზე იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", მესამეზე კი – „ლელო" 2,466,286 ლარით (იხილეთ **დიაგრამა 6**).

დიაგრამა 6. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ გაწეული ხარჯები, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾



საარჩევნო სუბიექტებმა ყველაზე დიდი თანხა ა) რეკლამაზე, ბ) ოფისისა და იჯარის და გ) შრომის ანაზღაურების ხარჯებზე გაიღეს. უფრო კონკრეტულად, რეკლამაზე საარჩევნო სუბიექტების მთლიანი ხარჯების 65% (17,467,553 ლარი) მოდიოდა, ოფისისა და იჯარის ხარჯზე — 13% და შრომის ანაზღაურებაზე — 5% (იხილეთ **დიაგრამა 7**).

დიაგრამა 7. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ ჯამურად გაწეული ხარჯები ძირითადი კატეგორიების მიხედვით, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾, %-ული წილი



2.1. რეკლამის ხარჯები

როგორც უკვე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში საარჩევნო სუბიექტებმა საარჩევნო რეკლამაზე ჯამურად 17,467,553 ლარი დახარჯეს. ამ კუთხით ყველაზე მეტი თანხა - 12,500,550 ლარი „ქართულმა ოცნება - დემოკრატიული საქართველომ“ გაიღო, რაც 13 საარჩევნო სუბიექტის ჯამური სარეკლამო ხარჯის 72%-ს წარმოადგენდა (იხილეთ **დიაგრამა 8**).

დიაგრამა 8. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო რეკლამაზე გაწეული ხარჯები, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾



რაც შეეხება რეკლამის კატეგორიებს, ყველაზე დიდი თანხა (45%, 7,899,708 ლარი) გარე რეკლამაზე დაიხარჯა, (იხილეთ **დიაგრამა 9**).

დიაგრამა 9. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო რეკლამაზე ჯამურად გაწეული ხარჯების გადანაწილება რეკლამის სახეობების მიხედვით, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾, %-ული წილი



გარე რეკლამების განთავსების ხარჯების უდიდესი ნაწილი - **90% (7,122,952 ლარი)** „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე“ მოდიოდა (იხილეთ **დიაგრამა 10**). **თუმცა, აღსანიშნავია, რომ ორ საარჩევნო სუბიექტს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა” და „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსს” ფინანსურ დეკლარაციაში გარე რეკლამის ხარჯი არ აქვს მითითებული, მაშინ როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” დამკვირვებლებმა თბილისში ამ სუბიექტების სარეკლამო ბილბორდები დააფიქსირეს.** უფრო კონკრეტულად, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” ბილბორდებზე საკუთარი რეკლამის განთავსება მეორე ტურის წინ ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო და მთელი ქალაქის მასშტაბით 70-მდე ბილბორდი განათავსა. რაც შეეხება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსს”, ამ სუბიექტის 5 ბილბორდი ჩვენმა მონიტორებმა სექტემბრის დასაწყისში აღნუსხეს.[23]

23 ბილბორდების ფოტოები იხილეთ ბმულზე: https://cutt.ly/ZOQSaJR

დიაგრამა 10. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ გარე რეკლამაზე გაწეული ხარჯები, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾

რეკომენდაცია

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა დაადგინოს მიზეზები იმისა, თუ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” და „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა” რატომ არ წარმოადგინეს საკუთარ დეკლარაციებში გარე რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.

რაც შეეხება სატელევიზიო რეკლამას, შესწავლილი სუბიექტებიდან მხოლოდ ექვსმა დახარჯა თანხა სატელევიზიო რეკლამის განთავსებაში, რამაც ჯამში 3,836,229 ლარი შეადგინა, საიდანაც 59% მმართველ პარტიაზე „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე“ მოდიოდა (იხილეთ **დიაგრამა 11**).

დიაგრამა 11. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ სატელევიზიო რეკლამაზე გაწეული ხარჯები, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾



2.2. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები

შესწავლილმა სუბიექტებმა საანგარიშო პერიოდში შრომის ანაზღაურების მიზნით **1,376,463 ლარი** დახარჯეს (**დიაგრამა 12**), რაც მათი ჯამური ხარჯების მხოლოდ **5%-ია**. შრომის ანაზღაურების კატეგორიაში ექცევა საარჩევნო სუბიექტის მიერ გაცემული ხელფასები, პრემიები, შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება, რაც, როგორც წესი, საარჩევნო პერიოდში პარტიის კოორდინატორებსა თუ აქტივისტებზე გაცემულ ხელფასებსაც გულისხმობს.

დიაგრამა 12. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ შრომის ანაზღაურებაშზე გაწეული ხარჯები , (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), ₾



თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ შრომის ანაზღაურებაზე გაწეულ ხარჯსა და მის მთლიან ხარჯებთან მიმართებას (იხილეთ **დიაგრამა 13**) თუ შევხედავთ, ყურადღებას მიიქცევს „პროგრესისა და თავისუფლების“ და „გირჩის“ ნულოვანი ხარჯები. გარდა ამისა, კითხვებს აჩენს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და „გახარია - საქართველოსთვის“ მიერ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული მცირე ხარჯები.

განსაკუთრებით საყურადღებოა მმართველი პარტიის შემთხვევა, რომელმაც ყველაზე მასშტაბური და ძვირადღირებული საარჩევნო კამპანია ჩაატარა, 18 მილიონ ლარამდე დახარჯა, მაგრამ კამპანიის განმახორციელებელ პირთა ანაზღაურებამ მისი ხარჯების მხოლოდ 1.3% (228,844 ლარი) შეადგინა. შედარებისთვის, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” ამ კატეგორიის საკასო ხარჯი 1,232,963 ლარს (მთლიანი ხარჯების 7.2%) შეადგენდა.[24]

24 ფაქტობრივი ხარჯი კიდევ უფრო მეტი იყო: 1,971,088 ლარი (10.5%), იხ. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 2017 წლის საარჩევნო კამპანიის ფინანსური დეკლარაცია, გვ. 35 და 424. https://bit.ly/3KkApNw

დიაგრამა 13. 13 საარჩევნო სუბიექტის მიერ შრომის ანაზღაურებაში გაწეული ხარჯების წილი მათ ჯამურ ხარჯებში, (2 აგვისტო - 13 ნოემბერი), %



ზოგადად, შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯის დამალვა პოლიტიკურ პარტიებს განსაკუთრებით უადვილდებათ, ვინაიდან მასზე გარე ზედამხედველობა რთულია, შესაბამისად, ამ კატეგორიის ხარჯებს პოლიტიკური კორუფციის განსაკუთრებულად მაღალი რისკები ახლავს თან.

რეკომენდაცია
• სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დეტალურად უნდა შეისწავლოს პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ და დაადგინოს, რატომ აქვს ზოგიერთ პარტიას დეკლარირებული არარეალისტურად მცირე თანხა.

VII. საარჩევნო კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობა და მასზე ზედამხედველობა

ქართული კანონმდებლობით პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის მანდატი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს აქვს მინიჭებული. იგი ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საარჩევნო კოდექსი და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

როგორც უკვე აღინიშნა, არჩევნების დანიშვნის დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი/საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს სამ კვირაში ერთხელ წარუდგინოს ფინანსურ ანგარიში დადგენილი ფორმით. გარდა ამისა, საარჩევნო სუბიექტები გარკვეული პერიოდულობით წარადგენენ შუალედურ შემაჯამებელ ანგარიშებს, ხოლო არჩევნების შედეგების გამოცხადების დღიდან 30 დღის ვადაში მათ საარჩევნო კამპანიის საბოლოო შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენის ვალდებულება აქვთ.

იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებსაც არჩევნების მეორე ტურებში მონაწილეობა არ მიუღიათ, საარჩევნო კამპანიის ფონდის საბოლოო შემაჯამებელი დეკლარაციები მეორე ტურების გამართვამდე უკვე წარდგენილი ჰქონდათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, ხოლო იმ სუბიექტებს, რომლებიც მეორე ტურებში მონაწილეობდნენ, საბოლოო ანგარიშის წარდგენის ვალდებულება მეორე ტურის შედეგების გამოქვეყნებიდან 30 დღის ვადაში ჰქონდათ. ასეთმა სუბიექტებმა საარჩევნო კამპანიის საბოლოო ანგარიშები დეკემბერში წარმოადგინეს.

საარჩევნო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახური, გარკვეულ დარღვევებზე რეაგირებას ახდენდა და საზოგადოებას ამის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. 29 სექტემბერს სამსახურმა პარტიების ფინანსური მონიტორინგის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა,[25] თუმცა, ამის შემდეგ უწყებას მეტი ანგარიში ჯერ-ჯერობით არ გამოუქვეყნებია, რაც მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ საზოგადოების არაინფორმირებულობის პრობლემას აჩენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან გამოითხოვა ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ დარღვევებსა და მათზე რეაგირებაზე. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების მონიტორინგის ფარგლებში, შემოწირულებების კანონიერების შემოწმების მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 862 ფიზიკური და 27 იურიდიული შემომწირველი პირის შემოსავლებისა და არსებული საგადასახადო ვალდებულებების შესახებ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, ასევე, გამოითხოვა 61 შემომწირველი ფიზიკური პირის კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებულ ტრანზაქციებზე ინფორმაცია. **შედეგად დარღვევები არ გამოვლენილა**.

- საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შესწავლის შედეგად გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო

25 „მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების ფინანსური მონიტორინგის შუალედური ანგარიში“, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 29.09.2021, https://bit.ly/33phKPE

სასამართლოში წარიმართა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 26 საქმე, მათ შორის 18 - დამოუკიდებელი კანდიდატის და 6 პოლიტიკური პარტიის მიმართ. ყველა დამოუკიდებელ კანდიდატსა და 4 პოლიტიკურ პარტიას ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება, ხოლო 4 სამართალდარღვევის საქმეზე 2 პოლიტიკურ პარტიას დაეკისრა ჯარიმა (დეტალურად იხილეთ **ცხრილში 4**).

ცხრილი 4. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საარჩევნოდ გამოვლენილი სამართალდარღვევები და გამოყენებული სანქციები

N	პოლიტიკური პარტია/ საარჩევნო სუბიექტი	ინფორმაცია სამართალდარღვევის შესახებ	მიღებული გადაწყვეტილება
1	„გირჩი - მეტი თავისუფლება”	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	5,000 ლარი - ჯარიმა
2	„გირჩი - მეტი თავისუფლება”	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (შემოწირულების შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა)	5,000 ლარი - ჯარიმა
3	„გირჩი - მეტი თავისუფლება”	აკრძალული შემოწირულების მიღება და დამალვა (ანონიმური ფორმით, ნაღდი ანგარიშსწორებით, უცხოურ ვალუტაში - 595 ტრანზაქცია)	95,181 ლარი - ჯარიმა; 47,590 ლარი - ბიუჯეტში ჩარიცხვა
4	„ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი”	კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (წარმომადგენლების ვაკანტური ადგილების აუქციონის წესით გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი)	19,268 ლარი - ჯარიმა; 9,634 ლარი - ბიუჯეტში ჩარიცხვა
	„ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი”	აკრძალული შემოწირულების მიღება და დამალვა (რელიგიური ორგანიზაცია - „ბიბლიური თავისუფლების“ ანგარიშზე მიღებული შემოწირულება - 86 ტრანზაქცია	
	„ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი”	აუდიტის სამსახურის მიერ მოთხოვნილი და კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა (ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად ნაღდი ანგარიშსწორებით თანხის გატანა და ინფორმაციის წარმოუდგენლობა)	
	„ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი”	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის არასწორი მონაცემებით წარმოდგენა	

5	„დემოკრატთა ალიანსი”	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
6	„საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტია”	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
7	„რეფორმატორები”	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
8	„ჩვენი გაერთიანებული საქართველო”	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
9	გიორგი ჯავახიშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
10	ბესიკ ქავთარაძე	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
11	ისლამ მარგოშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
12	გიორგი იოსელიანი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
13	უშანგი ბოლქვაძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
14	მერაბ მერაბიშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
15	გოგი ეფხოშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
16	გია ბიჭაშვილი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
17	ჯემალ ჭკადუა	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
18	თამაზ ბექაური	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
19	რუსლან ჟუღაშვილი	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება

20	გიორგი დოლიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
21	კახაბერ ცისკარიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
22	ლია რობაქიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
23	სპარტაკ კაპანაძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
24	ადელინა ჭაბუკიანი	საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაციის და საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
25	მალხაზ სოლომონიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება
26	მევლუდ წულუკიძე	საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოუდგენლობა	გაფრთხილება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ფინანსური მონიტორინგის შედეგების ერთი შუალედური ანგარიში წარმოადგინა. ქართული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მისი ანგარიშების გამოქვეყნების ვადებს ან სიხშირეს, შესაბამისად, აუდიტის სამსახური ამ საკითხს თავად წყვეტს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

წინა არჩევნების მსგავსად, ამ საარჩევნო ციკლშიც გამოჩნდა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური განსაკუთრებით არაეფექტიანი არის სავარაუდო პოლიტიკური კორუფციის შემთხვევებზე რეაგირების კუთხით. აგვისტო-სექტემბერში სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან განხორციელებული საეჭვო შემოწირულებების შესწავლის შედეგები კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმას, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არ გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილებები და კანონისმიერი ბერკეტები, რითაც შეძლებს მსგავსი შემთხვევების გამოძიებას. სხვა სახელმწიფო უწყებებმა კი, რომელთაც საგამოძიებო უფლებამოსილებები გააჩნიათ (საქართველოს პროკურატურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) საერთოდ არ ჩათვალეს საჭიროდ, დაეწყოთ გამოძიება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელობა არაერთი წელია უკვე ღიად აცხადებს, რომ პარტიების ფინანსებზე ჯეროვანი მონიტორინგის უფლებამოსილებები და კანონისმიერი ბერკეტები არ გააჩნია და ძალიან უჭირს პოლიტიკური კორუფციის შესაძლო შემთხვევების შესწავლა. ამ უწყების მენეჯმენტის აზრით, საჭიროა, ამ ფუნქციის სხვა ისეთ უწყებაში გადატანა, რომელსაც გამოძიების წარმოების უფლებამოსილება ექნება. ამ იდეას იზიარებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოც", სწორედ ამიტომ ორგანიზაციამ გასულ წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო შესაბამისი კანონპროექტის შემუშავებაში, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო.[26] ეს უწყება აღჭურვილი იქნება საგამოძიებო უფლებამოსილებებით და სხვა საკითხებთან ერთად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებსაც გაუწევს ზედამხედველობას.

26 „ანტიკორუფციულ რეფორმაზე ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზრდის კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობას", „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო", 01.09.2020: https://bit.ly/3jrEwbZ

რეკომენდაციები
• აუცილებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე ზედამხედველობის კუთხით მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ შუალედური ანგარიშები გამოაქვეყნოს არჩევნების როგორც პირველი, ისე მეორე ტურის წინ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის ინფორმაცია, რასაც შესაძლოა, მნიშვნელობა ჰქონდეს ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად. ასევე, სასურველია, არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამების შემდეგ ამ უწყებამ გამოაქვეყნოს საბოლოო ანგარიშიც; • სასურველია, შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო. ეს უწყება აღჭურვილი უნდა იყოს საგამოძიებო უფლებამოსილებებით და სხვა საკითხებთან ერთად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხებსაც უნდა გაუწიოს ზედამხედველობა.